

კავა ერთოსტელი

კოლხები  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუნძული ქართველი



## კოლეგია ფილოსოფიური

0169 ულეათა პრებული  
100 ტბილი


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 37

2020



მთ. რედაქტორი

**ზურაბ ლიპარტია**

ეკონიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ველოსილი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-844-1 (37 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კონსტანტინა მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფოტო, რომელთაც ორიათასზე გათი კოეფილი მონილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაცია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიმყენ ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჭავაცხალასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოდენიზმისა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამსცნეო მარკის კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებრი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„ბულტიგად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბნებას.“

ა. პუშკინი

## წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

დავით გურამიშვილი არაერთხელ მიმართავდა ცნებებს: ბნელი, ნათელი, დაღამება, გათენება. „მან დამაყენა, წამოაყენა მან მზეთა მზემან შარავანდედი, ბნელში მდებარე გამოველ გარეთ, ვითა დავდამდი, ისე გავთენდი“. აქ დავით გურამიშვილის „ბნელი“ – პოეტური ტანჯვის სიმბოლოა.

ვაჟა ეგრისელისათვის დამე ფიქრთა თავშესაფარია, ღმერთის შთაგონების, პოეტის ჭეშმარიტი არსებობის წყაროა და აღფრთოვანებით ელოდება საღამოს მოსვლას:

\*

„მოვლენ ქარები ხელის კანკალით  
და შემოდგომის  
ფოთლებს გაკრევენ,



და გაავებულს  
პგვანან ყაჩაღებს.  
დღე სისხლგამშრალი გადაივლის  
მთებს ფეხაკრეფით,  
მოვა საღამო...  
და ვარსკვლავებს  
კვლავ გააჩაღებს.

პოეტის მიზანი შემცნების ახალი საფეხურის  
მიღწევაა, ახალი ესთეტიკური კულტურის შექმნა და  
ახალი ვარსკვლავის მოვლინებაა, რომელიც თავი-  
სუფლების მაუწყებელი იქნება.

დრო და დრო პოეტის ლექსებში მშობელი კუთ-  
ხის ოსტატურად მიგნებული დასამახსოვრებელი დე-  
ტალები წარმოჩნდება:

\*

„სოფლის გზა-შარას სივიწროვის  
და გუბეების  
წყლული ვერ იქნა  
ვეღარ მოურჩა,  
თუმც ჩალისფერი თვეა ენაენის.  
და ჩემს მშვენიერ ეზოს  
მოუჩანს –  
სართა მეჩხერი კბილები და  
ღობის ნეკნები“.



პოეტის ლექსები ადამიანური ღირსების, სიამაყის მქადაგებელია. ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე თქვა: „არიან ქვეყანაზე იმისთანა რჩეული, იმისთანა ზეგარდმო მადლით ცხებული, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულმოქმედი ბედნიერება. იგი სასწაულმოქმედი ძლიერება თვითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის. გრიგოლ ორბელიანი ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი ვისაც დღესა კსტირით და ამიტომაც მისი სიტყვა თვითონ საქმეა“. ეს სიტყვები სავსებით მიესადაგება ვაჟა ეგრისელს, რომლის პოეტური სიტყვაც სასწაულებრივად, მაგიური ძალით მოქმედებს მკითხველზე. პოეტმა იცის, რომ ლექსი ხელოვნებაა და მას თავისი კანონები აქვს. პოეტის ლექსის ფორმა უფრო გააზრებულია, უფრო ინტელექტუალური. ვაჟა ეგრისელმა შექმნა განუმეორებელი ინდივიდუალური ლექსის კულტურა. ამიტომაა თვით მისი შემოქმედება ყველა კანრში თვითმყოფადი, რჩეული და კლასიკურად ნატიფი.

მის პიროვნებაში პარადოქსულადაა შერწყმული გაუტეხელი სასიათი, უდიდესი შრომის უნარი, საოცარი სიმტკიცე და თავდადება. მის ნაირფეროვან და ნაირგვარ მხატვრულ სამყაროს ტკივილიანი მშვენიერება ამთლიანებს: პოეტს ახასიათებს განუზომელი



მიდრეკილება თვითხაღრმავებისაკენ და სწრაფვა  
მოვლენის არსის, ყველა შესაძლო აზრის ამომწურა-  
ვი შეცნობისაკენ. აი თუნდაც:

\*

„ციგ ღრუბლებში რომ შუბლს იგრილებენ –  
ჩემი სამშობლოს  
ქვიდრი მთებია,  
და სიჩუმეში ცლიან მთვარის სავსე ფიალებს.  
მწუხრის ვარსკვლავნი  
თვით იქსოს  
ჭრილობებია, –  
სისხლის მაგიერ  
ცის ნათელი რომ მოთქრიალებო“.

პოეტს გულის კარი გაუღია ყველასათვის, ვი-  
საც თანაგრძნობა და ნუგეში სჭირდება და ვინც  
ამას სწორედ პოეზიაში ეძებს. ცნობილი მწერალი  
თამაზ ჭილაძე წერს: „პოეზია არის ადამიანის შინა-  
განი რაობის მაქსიმალური გამოვლინების ფორმა.  
პოეზიაა ის, რაც ყოვლდღიური რეალობის ქაოსიდან  
გამოყოფს ადამიანის პიროვნებას, ანზოგადებს და  
ანიჭებს უკვდავებას. პოეტია ის, ვინც პრაქტიკულად  
ანხორციელებს დიად მისიას, რომლის ყოველი პირა-  
დი განცდა ჟღერს, როგორც საზოგადოებრივი, ამდე-



ნად, პოეტია ის, ვისაც შეუძლია შექმნას საკუთარი  
პიროვნება“.

ვაჟა ეგრისელი ერთ ლექსში წერს:

\*

„სულ სხვანაირი ისმის გალობა,  
ფიქრი თუ კვირტი  
მზისებრ ჰყვავის  
სულ სხვა ენაზე.  
სხვა ზღვა რომ დელავს,  
ქარიც სხვა ქრის  
ეს მიხარია.  
სულ სხვანაირი ხმა მოისმის  
დროის გელაზის...  
მცირეა,  
მაგრამ ჩემი მხარე  
სულ სხვა მხარეა“.

დიახ, უნდა ვადიაროთ, რომ ვაჟა ეგრისელმა  
შექმნა თავისი პოეზია, „თავისი მხარე“, რომელიც  
როგორც ლიტერატურათმცოდნენი არაერთხელ მიუ-  
თითებულ, იმდენად ჰგავს სხვათა პოეზიას, რამდენა-  
დაც იგი საერთოდ პოეზია, მაგრამ ყველასგან გან-  
სხვავებულია, რადგან როგორც თავად ბრძანებს:  
„სულ სხვანაირი ხმა მოისმის დროის გელაზის“. და  
პოეტის უკიდეგანო პოეზიაში ვარსკვლავებივით ჩა-



ნან ისინი, ვინც მას თავისი განსაკუთრებული ხმა შეჰმატა. ვაჟა ეგრისელი სოფლის მწუხარე სურა-  
თებსაც ნათელ სხივებში აღიქვამს და მკითხველს  
სულს უცისკროვნებს. აი, თუნდაც:

\*

„მანდარინის და ფორთოხლის  
შუქი ჩამდგარა –  
ლურჯად გარდაცვლილ  
ჭაობების დია თვალებში;  
და წუხს წარსულში: მალარია,  
კოდო,  
ციება.  
მადლობა უფალს! გვიან, მაგრამ  
მაინც მოგვხედა,  
მამულზე დარდით გათეთრებულ აკაციებით –  
გათენებულა ჩემი კოლხეთი“.

ასე კარგად და ასე შთამაგონებლად, ჩემი  
დრმა რწმენით, არავის უთქვამს სამშობლო მხარის  
დიადი საგალობელი. მართლაც, ძნელია ჩამოვთვა-  
ლო ვაჟა ეგრისელის მიერ შექმნილი მამულის სადი-  
დებელი მხატვრული სახეები, აი, თუნდაც:



\*

„როცა ვუმზერ კოლხეთის ცას  
ლურჯ და მაღალ  
თაღებიანს.

წარსულ დდეთა წყლული თითქოს მირჩებიან.  
და მე გვიქრობ:  
ზღვამ ტალღები,  
აქ, ფოთოან რომ ამოყარა,  
იქნებ არგოს ნიჩებია“.

ან კიდევ:

\*

„ქართული ციდან –  
წვეთავს მირონი  
და ვარსკვლავებით ნაკვერჩხლებზე  
დამე შიშხინებს,  
შორეულ ალით –  
მშობლიური  
ბრწყინავს ხედები.

ცაში მეგულვი,  
მიტომაა ასე ხშირ-ხშირად  
მშობელო,  
მაღლა რომ ვიხედები“.



ვაჟა ეგრისელი არა მარტო მშობლიურ კუთხეს,  
სამშობლოს მთა-ბარს, არამედ მის ისტორიასაც  
მთელს სამყაროსთან ერთიანობაში გვიხატავს. აქ  
მთელი კოსმიური სამყარო წარმოგვიდგინა პოეტმა:

\*

„აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,

„ქართლის ცხოვრება“

წარსულს მიღამპრებს,

მთვარე ჰკიდია სიშორეში ვით ბუმერანგი.

და კოლხურ დამეს,

ბრძოლით დაღლილი, ვით ჩემს

წინაპარს,

ტანზე აცვია ვარსკვლავების

ჯაჭვის პერანგი“.

პოეტს ნუგეში და თანაგრძნობა წინაპართა სა-  
უფლოში, შორეული ათასწლეულების მიღმა ეგულე-  
ბა:

\*

„დრო მიაჭენებს ათასწლეულებს...

და ცის ტაძარში

მლოცველივით მარტო მდგარ

მყინვარს

უნაოჭდება დარდებისაგან



მაღალი შუბლი.  
შორით რომ გაკრთა,  
ელვა არა,  
ესაა ბრწყინვა –  
ბნელ წარსულიდან  
კოლხთა მიერ ნატყორცნი შუბის“.

ასევე ხედავს პოეტი ღმერთს ვარდისფერი ცი-  
სატყელის სახეში. ეს საოცარი მხატვრული სურა-  
თია – ღმერთმა ელვის მათრახით ცა გაროზგაო –  
და თუ მართლაც ჭეშმარიტი პოეზია ზეციურთან  
წილნაყარია, ვაუ ეგრისელი გამუდმებით აღავლენს  
მამულის სადიდებელ ლოცვებს და მარადისობის კა-  
რიბჭესთან ღმერთი ენუგეშება, როგორც სიკეთისა  
და ბედნიერების მომნიჭებელი.

\*

„როს დაეჯახა ღრუბელს  
ღრუბელი,  
მეხმა ელვის მათრახით ცა  
გაროზგა.  
და ღმერთს ვარდისფერი ცისარტყელა,  
ყელზე კვლავ ჰეიდია  
ავგაროზად“.



პოეტმა მთელი არსებით შეიმუცნა სამყაროს უსასრულობა და მარადიულობა. ცხადად გრძნობს, რომ ღვთის მადლიანი კალთა გადმობერტყილა მასზე და თავადაც მთელი არსებით დგას უფალში, რომელიც დღეს თუ ხვალ უკვდავებას შერთავს.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში უფალი მარადისობის გვირგვინია.

\*

„მზე ტორებს სცემდა აღმოსავლეთით  
და მზის ჭიხვინი მოისმოდა ფაფარაშლილი,  
ვარსკვლავთა ჯიღა –  
დედამიწას ედვა გვირგვინად,  
როს ცა გაიხსნა,  
და უფალმა გადამიფრინა –  
მარადისობის ფრთების შრიალით“.

ვაჟა ეგრისელის რწმენით ჯვარცმული ქრისტე მსხვერპლია კაცობრიობის ბედნიერებისა და სიკეთისათვის და პოეტიც ცდილობს ორგანულად განიცადოს ღმერთის ძალა, სიკეთე:

\*

„თაგზე თუ მხურავს შენეული ეს  
კრებსაბმელი,  
შენი ბრალია, რად შემქმენი, ღმერთო,  
შენს ხატად“, –



ამბობს პოეტი და თავადაც უფლის ხატია, ჯვარცმული გოლგოთის გზით, ბეწვის ხიდით უკვდავებისაკენ მიმავალი. პოეტი ეკვდრება დმერთს მისცეს ძალა და შემართება, რათა დადგეს ტინად და ქარაფად, ხელთ აიღოს მარადისობა შუბივით, რათა ამით უკვდავებას ეზიაროს.

პოეტი წინასწარ გრძნობს და ჭვრეტს ზებუნებრივ ნათელს, რათა გაფანტოს წყვდიადი, განათდეს უკუნეთი. უფალი მომავლის სვეტია ცხოველი – გგარწმუნებს პოეტი და ამიტომ მთელი არსებით ისტრაფვის სიკეთისაკენ, სიმაღლისაკენ. ყველგან და ყველაფერში ქრისტეს ხატებას ხედავს და პოეტის ღრმა რწმენით, ქრისტიანული ღმერთი უკვდავების მომნიჭებელია. პოეტის უფალი – იმედის, ნათლისა და რწმენის წყაროა და იჩქარის ნათლისაკენ, რათა „მწუხარება აგანთიადოს“.

იდუმალებითა და სიფაქიზით საგსეა პოეტის ყოველი ლექსი, ვაჟა ეგრისელისეული პოეტური მეტაფორები მკითხველში უცნაურ ასოციაციებს აღძრავს, აი, თუნდაც:

\*

„თეთრი დამის თეთრ თაროზე,  
მთვარის თეთრი დგას ჭურჭელი.

სხივები კვლავ გამოჩეკა თეთრმა დამებ  
და თეთრ ცაში ოქროდ ყრია  
ვარსკვლავების ნაჭუჭები“.



56:

\*

„...ტანჯვის მძიმე გრდემლზე გდია  
პოეტის სული,  
ჟამი მჭედელი –  
მზის უროთი კვერავს და კვერავს“:

წმინდა ნათელით ელგარებს ვაჟა ეგრისელი. სულის ნათელით განირჩევა იგი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი. მშობლიური ცისა და მიწის ალერგიული სიცოცხლის ნათელს, მზეს, ვარსკვლავებს და ცის ყვავილებს ეძებს. თავად პოეტი ნათელია სვეტის, რომელსაც ეზმანება:

\*

„ალვის ტოტებზე დაკიდულ მოვარეს,  
ვით ოქროს საწმისს,  
ქარი კვლავ არხევს,  
და ცაზე უცებ გამკრთალი ელვა,  
მე მეჩვენება აიეტის ცეცხლის  
ხარჯზე –  
იაზონის მოქნეულ სახრეედ“.

ვაჟა ეგრისელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალის თანამოზიარეა, მზით და მთვარით, ცით და მიწით გალადებული. იდუმალების ხმის შრიალით ისტრაფების სიმაღლეებისაკენ:



\*

„მნათობთა შუა – კერასთან  
მთვარე მარტო ზის  
ბეზავი,  
მწიფე ცას მეტეორები –  
ბროწეულივით ხლებავენ.  
სადღაც ცეცხლის და  
სინათლის ხმა ისმის,  
ალბათ,  
გზე არი,  
რომ მიჰყავს აღმოსავლეთით  
ღამე –  
ზათქით და ზრიალით“.

ან:

\*

„ათასი გარჯით სხივდაშრებილი  
დღე –  
ცივ ჩქერალში  
გზეს კვლავ არწყეულებს,  
ვით სიზმარ-ცხადი ან მიძინება.  
ცა –  
მკერდფიქალი,  
ვითა ქალწეული,  
ოქროს ვარსპელავებს კვლავ აისხამს  
ძვირფას მძივებად“.



ვაჟა ეგრისელის არაერთ ლექსშია მოცემული სამყაროს ერთიანობის პოეტური აღქმა. კოსმოსის ბინადარნი სულჩადგმულნი, ამეტყველებულნი და ამოქმედებულნი არიან. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სამყაროს ერთიანობის აღქმას და მხატვრულ სახეებში წარმოსახვას გამორჩეული ადგილი უჭირავს. პოეტის მდელვარე სულის ძახილით ვგრძნობთ კოსმიური სამყაროს სიდიადეს:

\*

„ბავცექერი ცარგვალს,  
აღსავლის კართან –  
დილას უხმობენ ცისკრის ზარები,  
და ლამის ისევ ბრუნავს დროის გელაზი,  
როგორც ბრუნავდა  
დიდი ხნის წინათ.  
ელვით ჰკიდია დრუბლებში მდგარ სახრჩობელა-  
ხე  
და ვით მისჯილი, ბოლო სიტყვას –  
ცა ამბობს წვიმას“.

ავტორის დიდმასშტაბიანი კოსმიური ხედვად გაცხადებული შემდეგ ლექსში:

\*

„გადაქანცული შორი  
სიმწვანით –



მარადისობა მიმზერს დაფნიდან.  
მე ხელებს ვუქნევ,  
ვეძახი და ის ადარ მოდის.  
ჭრიალებს სივრცე...  
მნათობები სადღაც გაფრინდნენ  
და განთიადის გარდისფერი  
ირხევა ტოტი.“

ვაჟა ეგრისელის მხატვრულ პალიტრად ქცეულა  
ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მშობლიური ბუნების სანახები, ზღვა, ბუნების მოვლენები... დიდი მეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე აკაკი გაწერელია წერდა: „მე იშვიათად მეგულება პოეტი, როგორც მზე, მთვარე, ვარსკვლავები ან სხვა ციური სხეულები იმდენი განსხვავებებით მეტაფორით დაეხატოს, როგორც ვაჟა ეგრისელს“. სწორად შენიშნა კოტე მელაშვილმა: „ვაჟა ეგრისელი კველაფერს კოსმიურ სხეულებთან და მოვლენებთან ურთიერთობაში აღიქვამს და ლექსებში გადმოაქვს იგი“.

იშვიათად შეხვდებით ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში ისეთ პეიზაჟისტ და ფერმწერ პოეტს, ვიდრე ვაჟა ეგრისელია, უნდა დავეთანხმოთ მერი ბადრიაშვილს: „ვაჟა ეგრისელი პოეტი რომ არა, ბრწყინვალე დიდოსტატი იქნებოდა ფერწერაში. მან შექმნა ახალი, თვითმყოფადი ხელშესახები ფერწერული სურათები...“



„არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პოეტის ლექ-  
სების მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნების საგნებს და  
მოვლენებზე დაგეროტიპულ შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს, მათი პოეტური მეტყველება გამოირჩევა ფი-  
ლიგრანული არტისტიზმით. მისი ლექსები ვიზუალუ-  
რად ძალზე წააგავს იმპოზანტურობას, ასევე ჰგავს  
„იქმენ ნათელში“ შეკრებილი ოხზულებები თვითონ  
ავტორისეულ რომანტიკას, სენტიმენტალურს, როდე-  
საც მგონების ლექსების და მისივე ავტორის ურთი-  
ერთმსგავსებაზე ფიქრობ. თვალწინ გაისიგრძებანებ  
აწ უკვე მომველებულ ლათინურ ცნებას „დაუს ექს  
მახინა“

ციურ სხეულთა ყოფითი ცხოვრება ისე შთამ-  
ბეჭდავად არავის არ გამოუხატავს ქართულ მწერ-  
ლობაში, როგორც ვაჟა ეგრისელს:

\*

„ხმას ჩაიქმინდავს უცებ  
სიბნელე,  
როს ჩაესმება ჰელიოსის ეტლის  
ხმაური, –  
აწერიალდება აღსავლის კარი.  
ფეხებს დაიჭრის ვარსკვლავების  
ნამსხვრევზე მთვარე  
და ჟამს ცისკრისას გარდაიცვლება“.



მართლაც, რომ ლექსის ოსტატის გრძნეულებითაა ჩატეული მცირე მოცულობის ლექსში კოსმიური სამყაროს ბინადართა ჯადოსნური ცხოვრება. ლექსი „ზამთარი“ გასაოცარი ფერწერულობით შექმნილი მხატვრული ტილოა, შთამბეჭდავი ზამთრის სურათის სიუჟეტით გამორჩეული და მტკიცე კომპოზიციით შექრული:

### ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



\*\*\*

ბნელი დამე რომ გამოარღვიონ,  
მნათები სხივებს  
დიდხანს ლესაგენ...  
და თვითმკვლელობა უნდათ ჩანჩქერებს,  
მეც ამამაღლე –  
დილის მზესავით  
ცაო, და...  
შუბისტარზე შემაჩერე.

2001

## ხალდი და არშგანი

სადღაც მანას სამეფოდან,  
მესმის ჭანთა საუბარი,  
არ არსებობს ზღვიდან –  
ზღვამდე,  
არც ქვეყანა, არც უბანი,  
სადაც სანთელს არ უნთებდნენ  
ღმერთებს –  
ხალდს და არუბანის.

1964



## თესალიასა და პრეტას

ვიცი,

სადღაც რომ ბინადრობს,  
ათასწლეულების იქით,  
მიტომ ამდენ ტანჯვას ვიტან,  
და იმედის კარს არ ვპეტავ,  
მე, ვპლავ კოლხურს ვეძებ დვრიტას –  
თესალიასა და კრეტას.

1962



\* \* \*

შოთას რომ მისცეს,  
გაუას რომ მისცეს,  
შენს ჩანგს დმერთებმა,  
რომ დაუმალეს,  
წამოდუღდება იგი ფერებად,  
ცის ბინადარი,  
მიწის სტუმარი,  
დღითი-დღე ელი გაციერებას.

2004



\* \* \*

ჩემი სიმღერა ასურეთთან  
მოკლული ვეფხვის  
ხავილია.

ჩემი გული –  
ლოტოსის ყვავილია,  
წუმპეში მდგარი სურნელს  
რომ აფრქვევს...

.....  
ჩემი გული –  
ლოტოსის ყვავილია.

1958



\* \* \*

ქარცეცხლითა და ომებით  
წარვიდნენ საუკუნენი...  
აპა,  
მეოცეც დასრულდა,  
და მაინც ციხე-კოშკები –  
დგანან დარაჯად –  
წარსულთა.

1998



\* \* \*

ათასეული წლების კარებთან  
აყუდებულან მთები –  
მუნჯები,  
დაღლილები და სახე მკაცრები,  
მოფრინდებიან წარსულიდან  
აკლავ ფასკუნჯები  
და ვით განიმედს –  
ლეგენდებში გაგიტაცებენ.

1986



## პოლებიც და პორაძეიც

ვინც ხსოვნის ხელს მიწვდიდა,  
წელი ათჯერ ორასი,  
დრომ აღგავა მიწიდან –  
ჩემი ძველი ჯილაგი, –  
პოლებიც და პორაძეიც.

1962



\* \* \*

ციცქნა ფოთლების ისმის ჩურჩული,  
ნამის კაცუნებს ამუნათებენ  
და ბნელში ხელებს აფათურებენ,  
მერე ბრმა ტოტებს –  
გზას უნათებენ –  
კვირტების მწვანე ნათურებით.

1980



\* \* \*

არც მონდოლმა,  
არც თათარმა,  
საქართველო შავ ძაძებით,  
ისე მაგრად არ შემოსა,  
ისე აღარ დაგვამხო და  
ისე აღარ დაგვაოსა,  
ვით აფსუამ და ვით ოსმა.

1993



## ქართველობის მიერ

მოაფრენს შენს შავ თავსაფარს ქარი,  
და დედა ისევ  
გეძებს და მოთქვამს  
და ღობე-ვეღარ აკავებს  
გიჟმაჟს.  
მოუწყენია ბაღსა და ბოსტანს  
და უშენობა ჟინელავს  
და ჟინელავს.

1983



\* \* \*

სიცორუემ და ორპირობამ

სული წალეკა

და თქმა მართლისა მზისებრ

გაძვირდა,

კაცობა პლუტობს.

კრძალვით შევცეკერი სიბრძნის

ტაძრიდან

პლატონს და პლუტონს.

1992



\* \* \*

დილამ აანთო მზე –  
ლამპასავით,  
და დღემ ცის თაღზე  
ღრუბლებს ბევრჯერ ამოაფარა,  
მაინც ჩაუქრო მწუხარმა  
დასავლით.

1978



\* \* \*

მოვიდა თოვლი და რომ ჩანდა  
 სასაფლაოზე,  
 ის პატარა ბორცვიც წაშალა,  
 მაშინ განრისხდა ქარი  
 აშარი  
 და მზეს ჩამავალს სულის მოთქმა  
 აღარ აცალა,  
 თვალში ნამქერი შეაყარა, ვთა ნაცარი,  
 ისე წყნარია აი, ახლა,  
 სოფლის გზა-შარა,  
 თითქოს დღეს სიკვდილს აღარ  
 ჩაევლოს.

1993



\* \* \*

მოკვდავთ ოცნების თავშესაფარი,  
მარადისობის ბედად  
ხმობილი  
და ვარსკვლავების თანამედროვე,  
დედამიწაზე გადამხობილი  
ცა-დოლია და  
მოვარე –  
მედოლე.

1961



\* \* \*

მიწა,

მიწადვე გადავიქცევი,  
მწამს ის დამამხობს,  
ვინც აღმაზევა,  
რადგან საშიშ გზით ბედი –  
მარილზე,  
იმ ჩემ შორეულ წინაპარივით  
გახმა,  
ხშირ-ხშირად მგზავნის  
აღზევანს.

2002



\* \* \*

ტალახში დევის ნაფეხურივით,  
მიტოვებული აგდია შუპა,  
იქვე ჭიშკართან  
დამხობილ ბოგირს,  
ეჩურჩულება ლელე, ვით მოგვი,  
სხვა არაფერი...  
მზე მიწაზე ჩამოდის შუქად.

1982



\* \* \*

ვითარც ანისს,  
 დიდგორს,  
 ბარდნავს,  
 აღიღებდა როცა მარდად,  
 მერე, როგორც კურაპალატს, –  
 უყვარდა საათ წვეულება,  
 რკინის მკვნეტელ –  
 დავით მეფეს,  
 “აქუნდის ეს ჩვეულება”.

1960



## პრეისტორიული

დუღს ფაზისი,

ხობისწყალი,

ცხენისწყალი

და ინგირი,

კავკასიის მთის წინარე,

ჯერ არ მიუჯაჭვავთ გმირი.

და კოლხეთის შეამდინარეთს –

ეფინება ბინდი ველებს.

გვერდებ ხეთებს და მიდიელებს, კოლხებს...

ვაჲ, ზოგს თუ ემცხეთა,

რომ არ ისმის სხვა ქართველთა –

ხმა...

იშლება დამის გული,

რომ ლარჩება და ხამისქური

ივსება მტრით და მოძალით,

და აღსავლით მიაჭენებს შავრას

კოლხი ამორძალი.

1959

\* \* \*

ელავს ფიქრის და აზრის –  
წავარნები და ეხი.  
ხმა შენი ციცქა საზის  
პგავს პოეზიის ცაზე –  
უცებ გავარდნას მეხის.

1963



\* \* \*

ამ წუთისოფლის მღვრიე ცის გგამში,  
დიდხანს იქუხე,  
დიდხანს იქლვე...  
ათასეულთა წლების წინარე –  
ზღვისპირას იდექ და ებრძოდი  
გადამთიელებს...  
ეჭ. სამეგრელოვ!  
რამდენ ცრემლით ხარ ნაწვიმარი.

1961



\* \* \*

ისე კი არა,  
 სხვებს რომ ჰგონია,  
 შენ შთაგონების გწვავს აგონია,  
 თითქოსდა ოქროს თავთავებს მკიდე.  
 უსიერ დღეთა გეძახის კაფვა.  
 ო, არა უშავს,  
 ცოტაც და პიდევ,  
 შებლს გაგიგრილებს სურო და დაფნა.

1988



\* \* \*

გამთენისას ერთი ვარსკვლავი,  
ზეცას აწყდება,  
ვითარცა დილი,  
რომ დამეული წყვდიადი შესვას.  
მზის ცეცხლოვანი ხმა მესმის  
დილით,  
მიმწუხრისას კი მთოვარის კვნესა.

1990



\* \* \*

აცვიგა წარსულის მტკერი  
 და შთაგონების ალი,  
 სამყაროს გარს უვლის ხშირად.  
 პენჯაფში – დაეძებს რერიხს,  
 მადრიდში –  
 სალვადორ დალის  
 “ცეცხლმოკიდებულ ჟირაფს”.

1983



## ვგია

ცას სტოკებდნენ და თავგამეტებით  
ენარცხებოდნენ ფოთლებს  
უსულოდ –  
უფლის ცრემლები შიშველ-ტიტველი.  
ვახმე! –  
ისმოდა ხმა ფურისულას.  
ჩუ! –  
ამშვიდებდა მას მატიტელა.

1962



## მუშარის ელეგია

დასაბამიდან მარადისობას –

დაგვდუღუნებენ ვარსკვლავები –

მტრედის ხუნდები...

წუხან ღრუბლები – ძერის ქარდები;

ცა – იცრიცება

და მზეც ხუნდება,

მთვარეც ჩაქრება და განქარდება.

2000



\* \* \*

ცამცუმის ციხეს თუ ნაციხარებს,  
შამბნარი გოდებად მოდებია.  
ალგეთის ტალღები ერთურთს რომ  
მისდევენ,  
თითქოს ყამარის მამის მდევრებია.  
და უფსკრულში რომ ყრია,  
ლოდებია თუ  
ამირანის დახოცილი დევებია?!?

1976



\* \* \*

ჩემს იქით,

სადღაც ძალიან ცხელა,

მაგრამ ჩემამდე ვერ აღწევს

სითბო,

ჭრიჭინას ჭრიჭინს აუდის ალი.

და მე ისეთი გრძნობა მაქვს,

თითქოს,

ბურდი მიხვრიტავს ცივ თავის ქალას.

1968



## მთები ზედაზენისა და არმაზის

ცა გაუშლია მზეს მოლბერტად,

მთებს ხატავს —

მტკვრის ფერად ნარმაზე.

და დღეა ისეთი.

რომ მთები ზედაზნისა და

არმაზის,

აგე, თბილისში ჩამოვიდნენ.

1964



\* \* \*

გადახვეწილი ჩემი დღეები –  
 მოფრენილან და ბეღურებივით,  
 იმედის თოკზე ჩამომსხდარი  
     მზეზე თბებიან,  
 თუმცა თვალებში უდგათ სიცივე.  
     ჩემი სიბერე,  
     ჩემს სიყრმის წყალს  
         ჩაშტერებია,  
 და გული მისდის ნარცისივით.

1990



\* \* \*

ელვის რაშებზე ამხედრებული,  
საუბუნენი, როგორ  
მირბიან...  
ზესთა სამყარო ჩანს უცვლელი,  
დედამიწა კი,  
დიდი წიგნია –  
ბუნების...  
საქართველოა მისი თავფურცელი.

1964



\* \* \*

მოგავდები,  
მკვდრეთით ადდგომას,  
ვითარც იქსო, მოველი,  
რადგან ვარ მისი ნაგრამი.  
სამშობლოს საკურთხეველთან  
ვლოცულობ, როგორც ვიკარი.  
და დავდევ სიკვდილს,  
მაგრამ ის,  
რა ვქნა, ახლოს არ მიკარებს.

2003



## შანა დ'არპი

დუმს ორლეანი...

და ტალღებში ვხედავ:

ლუარის,

შანა დ'არპის –

თავმომწონედ დამდგარს

კოცონთან.

და ასწლეულებს ომებით რომ გადაუარა

ფრანგთა მიწა-წყალს...

და მეფის ლანდს, დამდგარს პროფილით.

შორით ქალწული წმინდანი ჩანს,

ოქროს პორფირით.

1974

## მუსიკი

როცა ღრუბლებში ხსოვნამ იელვა,  
გიფიქრე,  
ახლა დაიქუხებენ,  
მთებზე დიდები,  
ზღვებზე მეტები,  
და მომეჩვენა: მუხიანში იდგნენ მუხები,  
ვით წინაპართა ბუმბერაზი  
სილუეტები.


1979



\* \* \*

არა ბუკით და ნაღარით,  
არც დარახტული ამალით,  
მარტო გვეწვევა დიდება  
და, ვით მწუხრისას მამალი,  
შენს ხმის –  
ტოტს შეაფრინდება.

1998



\* \* \*

მოკრიტიკოსებს,  
შხამს რომ ანთხევენ,  
და რომ არიან ჭკუით პუტები,  
ნეტავი, რამეს  
ვინ ეკითხებათ?!  
დაბადებულებს კატის კნუტებად,  
მერე ქცეულებს სოროს  
ვირთხებად.

1997



\* \* \*

კოლხურ მიწაში გიდგას ფესვები,  
მთვარეებ,  
შენ, ჩემო  
მძლე წინაპარო.  
ავმაღლდები და ვარსკვლავების  
დაცხებ ფანფარებს,  
და როგორც მეგრულ ოდის ლაფაროს,  
ქართვლის მაღალ ცას –  
თავს შევაფარებ.

1960



\* \* \*

დუმს ტყე, ფოთლებით გადახურული,  
მაგრამ უეცრად ქარმა არწივის  
გაშალა ფრთხები და ტყეს  
ტრიუმფით  
გადაუარა...  
ხეებმა როცა თავი გასწიეს,  
გამოჩნდა მთვარე სიმპათიური.

1962



\* \* \*

ბაღში ატმები და ალუბლები –  
აპრილს და კვირტებს  
კვლავ აბოდებენ.  
და მზეს ჩამავალს უმზერენ ცივად.  
და მთელი დამქ,  
უშავესი ფიქრთა ლოდები,  
ჩემი თავის უფსკრულში  
ცვიგა.

2001



\* \* \*

მთვარის აკვანს გვირწევს დამე,  
 და ნელ-ნელა გვაჩვევს სიკვდილს,  
 რაც ნაღდია და უდავო.  
 და დღეებს კი ჩვენი ყოფნა  
     სადღაც მიაქვს მუჭა-მუჭა,  
     სანამ ძილი სამუდამოდ  
     თვალებს აღარ დაგვიხუჭავს.

1999



\* \* \*

ოქროდ დაფანებს ახლა ცის ყანა,  
შუაგულ ყანაში,  
ვითარც თოხი ოყიანი,  
პვლავ გდია მთვარე,  
ზესთა სამყარო –  
ოკეანეა,  
მზე – ხმაა ოკეანის.

1966



\* \* \*

მთათა და ზღვათა ნათესაობა –  
ფსკერზე მიღეწილ  
და მიღეშილია,  
ღრიანცელი კი ზედაპირზე მაინც  
არ წყდება.  
ზღვები –  
მაღალი მთების შვილია,  
მიტომაა, რომ არ შორდება  
და კლდეს აწყდება.

1966



\* \* \*

სიმყუდროვის ლურჯ ტოტზე ჩამოჯდა  
ვეება მთვარე –  
და მოკამკამე ფერით ივსება –  
მზის ცეცხლოვანი ხმით ამომშრალი,  
ვარსკვლავთა მწვანე –  
ოაზისები.

1999



\* \* \*

გულებს, ვით ბუხრებს,  
 წუთისოფელზე,  
 ფიქრების ცეცხლით ვერ ახურებენ,  
 ვერც მზეს ხვდებიან თავგამოდებით...  
 და მიტოვებულ სასაფლაოზე,  
 როგორც სიკვდილის ნაფეხურები –  
 ჩანან ლოდები.

1970



\* \* \*

დასაბამიდან ბრძოლით დაღლილს,  
ვით საქართველოს,  
აღარ აცალა ზღვას დამშვიდება  
ქარმა,  
მოვარდა საიდანლაც,  
როგორც მონგოლი,  
ჰგავდა ქიმერას, ცრუს და მოგონილს  
და ცას და მიწას დაუშინა  
ზვირთთა მშვილდები.

1974



\* \* \*

ვინც დარჩა დედამიწაზე,  
 მათ საფლავებზე ამოდის  
 ია,  
 ვარდი და კესანე.  
 ხოლო ვინც ცაში ამაღლდა,  
 სხედან სიშორის ტოტებზე  
 და... წინაპრები დილამდე  
 ვარსკვლავთა შუბებს ლესავენ...

1966



\* \* \*

რისხვაა, ნაპირს რომ ეხეთქება,  
დრო-ჟამისაგან უღვთოდ  
ძლეულთა,  
აღარ აწუხებო ქარი და წვიმა  
და ზღვების ფსკერზე  
უშფოთვლად სძინავს,  
ბევრ საიდუმლოს ათასწლეულთა.

1980



## ჭირვილა

გაჩაღდა ლხინი...

ბაქბაყ ქვევრებს ქუდი

მოხადეს,

ყალყზე შემდგარნი დაუჯახნენ

ჯიხვებს ჯიხვები,

სულმოუთქმელად წამიერად უკან

იხევენ.

ხოლო ბუხარზე მდგარი ჭინჭილა

ყელს ჩემკენ იწვდის,

გითა ქალწული,

მაგრამ მე გითომ ვეღარ ვამჩნევ –

გულ-მკერდ მოხატულს,

თუმც ცალი თვალი მისკენ მიჭირავს.

1989

\* \* \*

მას შესციცინებს მთელი სამყარო  
და სხვა პოეტმა რადა ინატროს,  
ან ჯავრი ქვეყნად რაზე იყაროს.  
ის ვითარც ღმერთი, ცაში ბინადრობს,  
ნურვინ ეცდება,  
რომ მიწაზე  
ჩამოიყვანოს.

1999



\* \* \*

მე, ჩემი ღმერთი მყავს საკუთარი,  
 არა არმაზი  
 და არც ზადენი,  
 და ურწმუნოთა ბეცი ფარსების,  
 ნამდვილად ვიცი,  
 რომ ის არსებობს,  
 მაგრამ სამყოფელს ვერ მივაგენი.

1981



\* \* \*

ქარი ტყე-ღრეში დაეხეტება,  
დეკემბრის ველურ სუსსს გამჭვივანი  
და ზამთრის უსპეტაკეს დარდს  
იქარვებს,  
რომ არ შესცივდეთ გუბეებს და  
ნაჩლიქარებს,  
ყინვა მინებს უსვამს გამჭვირვალეს.

1972



## ორ დიდ დავითს

ისე, ვითარც მუმლი მუხას,  
ფიქრთა ურდო დამესია.  
არ მაქვს ძალა მათთან დავის.  
გადავავლე მთებსაც პუნე  
და მოვუხმე ორ დიდ დავითს:  
ერთს, ვით მეფეს და მესიას  
და მეორეს – მეფსალმუნეს.

1961



\* \* \*

წამებში გავიდა წელი მირიადი,  
დღისა და დამის ბნელ საზღვართან  
ველური კივილი აზღვავდა,  
და ნაპირს მოაწყდნენ ტალღები  
ჟულევთან,  
როგორც ბინადარი ზღვისა  
და სულეთის  
და დელვას, ვითარცა პატარცებ,  
ხუთი წლის სიცოცხლე  
წარტაცეს.

1969



## ჭაბარი

“შოთა, აკაკი, ილია,  
გაჟა და გალაპტიონი”.

ქართული სიტყვის თვალუწვდენელ  
მზიან მინდვრებზე,  
მათი ლექსების ჩანს ნახანძრალი.  
მათ, აი, ახლა ფიქრი ეძებს ცაში  
ასული.  
მთელი სიცოცხლე ვაშენებდი,  
მაგრამ ტაძარი,  
ვერრა იქნა და ვერ დაგასრულე.

2001



## მნათები

დღეებს გაურბიან...  
და ტიტველ-შიშველი,  
სიცოცხლით დამეებს ათევენ.  
და წყვდიადს სინათლეს უსაღებენ –  
ცის შავ უფსკრულში  
დამსხდარი მნათები –  
სივრცის და სიშორის ტუსაღები.

1980



ალექსანდრე გოლიაშვილი

\* \* \*

დღისგან –

დამეს კოდავს და,

ნამსხვრევებად ცვივა

ვარსკვლავები,

მთვარე თითქოს და როდენია.

ზღვაში ტკაცუნებენ –

ქათქათა დრუბლების

აფრები,

აქ ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია

სიკვდილის ჩასაფრება.

1995



## ლეგენდები და მითები

ცის ფრთება ანგელოზები –  
ღამეებს თეორად გითევენ,  
შენა ხარ ცისკრის გაღება.  
ლეგენდები და მითები –  
კოლხეთის ცაზე დაკიდე –  
პულსარებად და ჭალებად.

1981



## მეცნერე საშპურე

ახლა ტაო-კლარჯეთში,  
მტერი სიკვდილს გვირიგებს,  
თუმცა, ბევრჯერ დაგწყევლეთ!  
უთქვამთ: ეფრემ მაწყვერელს,  
ქრისტეფორე კვირიკელს.

1978



\* \* \*

ქართული სიტყვის სალ კლდეზე  
ხარ მიჯაჭვული  
და მითობ.

შენ,  
ვითარც ედგარ ალან პომ,  
გსურს ლექსი სანთლად  
აინთო  
და პოეზია ალამპერო.

1996



\* \* \*

მთიები სიშორეს გალობენ  
და ისმის ციური არია, –  
როს უმზერ “კლდესა” და  
“ღვთის კიბეს” –  
ბარძიმზე\* შუქმფინარ მარიამს.

1992

---

\* იგულისხმება ბედიის მცირე ბარძიმი



## მამა, მე და სულივანძა

ვერ გადაველ ზესთა ნებას,  
ცის სიმაღლეს და  
დაწინდვას,  
რწმენით მივსდევ ამ იმედს:  
მამას, ძეს და სულიშმინდას,  
მე ერთში გჭვრებ სამივეს.

1959



\* \* \*

მთიებს –

უფლის ანგლოზებს

სძინავთ...

ზღვა ცის აკვანს არწევს.

გიდაც წყლისპირს ყვება იგავს,

რომ მოსვლიდან თაყვანსაცემს:

ზღვას – მარიამს,

ქრისტეს – გრიგოლს.

1994



## პლდე და წყალი

დუღს უდაბნო ხახამშრალი...

კაცთა მოდგმის და ქორების


ხმები ისმის კვლავ საწყალი,

იმედად ჩანს მთა ქორიბის,

მოსეს კვერთხი,

პლდე და წყალი.

2004



\* \* \*

მან შექმნა და ატარებს –  
მიწას ხელში აყვანილს  
და მიმოდის ქუხილად,  
თან სდევს მოკვდავთ თაყვანი  
ხილულს,  
მაგრამ უხილავს.

1972



## დაუღიათ ზღვებს პირები

ქარიშხლის თუ ცეცხლისმფრქვევი  
დაუღიათ ზღვებს პირები –  
(ცას თვალები უჩანს ბეცი),  
ჩასანთქმელად გვედირება,  
როგორც უხილავი მხეცი.

1987



## ლოდინი

კლდეს მომწყდარ ლოდივით,  
 დაბერდა ლოდინი,  
 ბედნიერება კვლავ იგვიანებს,  
 და ვიდაც კიის: სანამდის! –  
 მუშამო!  
 ელი და აღარ ჩანს დღე-დამე მზიანი,  
 აღარც ცა,  
 აღარც მთა,  
 არც ქამი უჟამო.

2005



\* \* \*

ყალყზე მდგარი გრიგალები,  
არკინებენ ზვირთთა ყოჩებს –  
შავი ღრუბლით დაბოლმილებს,  
თუმც სინათლის ჭავლი  
მოჩქეფს –  
ვარსკვლავების ჭა-ბურღილებს.

1961



\* \* \*

უზარმაზარი დამის დარბაზის  
 ფანჯრები  
 ყინვამ უცებ შემინა,  
 მთვარეს მკვდრის ფერი ედება,  
 ცაო,  
 ამდენი ვარსკვლავები  
 რამ გათქმევინა,  
 ან ასე თეთრი თოვლი – ქედებო.

1959



\* \* \*

ენძელებით და იებით  
მოდიან დამეთა მთევარი  
ლურჯთვალა არე  
და ეარი,  
მიდიან...  
გაზაფხულს დარდობენ:  
იგრიკა,  
მირკანი,  
გარდობის...

1979

\* \* \*

ლოდებს,

საფლავს დამხობილებს,

ფეხაკრეფით

როს ჩაგუვლი,

მაშინ მწუხრი მნათებს ისხამს:

- არყოფნას ვინ აგარიდა,

ცრემლნარევი სიკვდილის ხმა,

მესმის ციფი სამარიდან

1994



\* \* \*

რაც ჩემმა ფიქრმა სამშობლოდ,  
ეს ცა და მიწა იწამა  
მას მერე ერთი წამით,  
აღარ შორდება წიწამურს,  
და აღარ სტოკებს –  
კრწანისს.

1994



\* \* \*

დვთის საუფლოში,  
 უფრო შორს,  
 სადღაც,  
 მირიადი ციმციმებს მნათი,  
 სადაც ვერ აღწევს მოკვდავთა ფიქრი,  
 მე ვხედავ ცხადად,  
 მე ვისმენ ნათლად,  
 ვიღაც მიხმობს და მელოდება  
 პლანეტებს იქით.

1959



\* \* \*

მიყვარხარ! –

ერთხელ კიდევ

შემოგვიცავ,

და რუსთველივით დაგიჩოქებ,

სანამ თავისთან

დამიბარებს

“ოს” –

სპასალარი თუ ამირბარი.


1994



## ტურისტები არაგვისპირად

ბანჯგვლიანი ქვა-ლოდები  
წყალს სახეზე შეისხამენ  
(ისმის სადღაც ჩიქორთული),  
არაგვისპირს კლდე –  
მრისხანე  
ზის შაჰივით ფეხმორთხმული.

1971



\* \* \*

ღამის უდაბნო მოვლილმა  
ღრუბლებმა  
მოქიბი წალეპეს...  
ახლა,  
მოვარე ყრის მარმაშებს,  
ზღვა ისევ წევს ძუ მგელივით  
და ნაპირზე –  
ზვირთთა ლეპვებს  
ათამაშებს.

1989



ნარდის თამაში

მოძმე ტყვედ ჰყავთ და...  
თეთრი ქვების,  
არის წიოქი და ფორიაქი,  
ერთი აკლიათ, დავითვალე,  
ნარდის კიდედან მიმზერს იაქე —  
ბეღურა ჩიტის ცალი თვალი.

1968



\* \* \*

მესიზმრება —  
დრო წარსული,  
ობლად მდგარი  
ზღვის ბაქანი,  
ნავზე ცხრაფად მიბაწრულებს, -  
ქართველ ვაჟებს  
და ქალწულებს,  
სპარსეთისკენ ჟამი როგორ მიაქანებს...


1993



## რიმაჟი ზღვაზე

მიწას სინათლის –  
 გაცრეცილი სამოსი მოსავს,  
 ცას კი,  
 ჰეფუსტოს ნაჭედი  
 რენა  
 და ვარსკვლავების აცვია თორი,  
 დამის ბუნაგში ზღვა წევს და  
 ბრდდვინავს,  
 და ნაპირს ადებს ვეება ტორებს.

1977



\* \* \*

დამის სოფელს ნიხლი ბურავს,  
ბნელს,  
სინათლის პლავს წყურვილი,  
დამქ,  
მთვარეს, ვით ჭილის ქუდს,  
კამს ცისკრისას დაიხურავს,  
მეჩაიე ქალწულივით.

1965



\* \* \*

იები თვალებს ლურჯად ახელენ,  
 მათ ლოლუების ყაისნაღებით  
     ნაქსოვი თეთრი,  
         ცივი ქარები –  
 ყინვის გამჭვირვალ საბნად ეხურათ,  
 ახლა ზამთარი ღობე-ღობე მიიპარება  
     და სტოვებს თოვლის  
         თეთრ ნაფეხურებს.

1977



\* \* \*

რომ ყაყანებენ ბატები,  
გადაარჩენენ რომს ისევ?!  
ამ ზამთრის ღამის მთევარი  
მე ვარ და,  
ა, ის მთვარეა,  
შორს,  
ირმის ნახტომს რომ მისდევს  
დილამდე,  
როგორც მწევარი.

1960



## მაღვერში

ირმის ბდავილი საირმეს,  
ტანს ქრუანტელად  
სულ უვლის...  
გულს შვება იგრძნო წალვერმა,  
როდესაც ორლესულივით  
ცამ მთვარე –  
ამოამდერა...

1978



\* \* \*

ასაფერენად ზღვა ფრთებს გაშლის,  
იორბებს და  
იარწივებს,  
მერე ქარი ქალწულ ტალღას,  
ნისლისა თუ მზის ხელმკლავით  
ნაპირამდე მიაცილებს.

1958



\* \* \*

ამ მთებისთვის და ამ ცისთვის,  
გვ,  
რამდენი,  
ლოცვად მიწვა  
იქით-ტაოს,  
აქეთ – ხერთვისს...  
შუა გაყოფილ ქართულ მიწას,  
შუბლშეჭმუხვნით –  
დამზერს დმერთი...

1994



\* \* \*

ქარიშხლის რაშით დასდევენ,  
გეთილ სულთ –  
მუდამ დევნიან...  
ლრეობენ,  
სულ აშლილები,  
ზვირთები –  
დევთა შვილები,  
ზღვა –  
ოვითონ ბაყაბაყ დევია.

1964



\* \* \*

ოქრო ასდიოდა მნათობთა ნაკვალევს,  
უფალი ზომავდა ცას –  
ელვის არშინით,  
ცვიოდა შიში და სიშორის ნაშალი,  
მოვარდა ქარი და ღრუბლების  
საშლელით  
ვარსკვლავთა ნაფეხურები  
წაშალა...

1964



\* \* \*

კიდევ ცოტაც და....  
მოვა აპრილი  
და ჩემს კოლხეთის ცაზე  
ულურჯესს –  
დაიხურავენ თავშალს იები,  
ამოაფრენენ ბუდეებიდან –  
მწუხარის გალობას  
მაფშალიები.

1957



\* \* \*

მარცხენაზე გადეპიდა ცისარტყელას  
 ვარდისფერი პირსახოცი  
 და იბანდა წვიმით ცა პირს,  
 მზე ეფინა –  
 მოქათქათე ღრუბლის კარავს,  
 კიდევ ერთხელ დაუჩოქა ზღვამ ლურჯ  
 ნაპირს,  
 მაგრამ მწყერალმა  
 ახლოს ადარ მიიკარა.

1961



\* \* \*

ნაწვიმარი ღრუბლები,  
საინივით დამსხვრეულ  
მოვარეს კვლავ ამთელებენ,  
ცას კი ბლომად მოუსხამს –  
მნათთა კურქანტელები.

1967



## ლაპადაში

მკერდზე მწვანე ფოთოლს იფენს,  
 გაზაფხულის ირჩენს ნარქენს,  
 და,  
 პატარა ნაკადული,  
 კისრისტებით გარბის თაგქვე,  
 ვითარცა თხა ლაპადური.

1956



\* \* \*

საიდანდაც ქარიშხალი  
მოვარდა და  
მზეს ჩამავალს,  
მოუნდომა თვალთა დათხრა,  
ზღვასაც სული შეუბერა,  
ააცალა თეთრი ქაფი,  
მერე პირზე მიიყუდა,  
როგორც ლუდით სავსე კათხა.

1960



\* \* \*

ეცვა გარვარა სიცხის პერანგი,  
 მზის ჭილისფერი ქუდი ეხურა  
 და ზღვის ნაპირზე –  
     ქალწულივით იდგა  
 ზაფხული,  
 მერე ცის ველზე როცა დაღამდა,  
 ბელტა ღრუბლების შავი სნულიდან,  
     მოგარე ოქროსფრად ამოღადანდა.

1959



\* \* \*

შორით მოჩანს იალბუზი,  
როგორც ნოეს კიდობანი,  
ზღვა,  
მეორედ მოჰვავს მოსვლას,  
ზეირთთა ლოდებს ცაში ისერის,  
ტანზე გლოვისფერი მოსავს,  
